ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ საერთო კრების

ოქმი № 4

ფედერაციის საიდენტიფიკაციო კოდი: 404921670;

საერთო კრების ჩატარების თარიღი: 26 ივნისი 2026 წელი;

საერთო კრების ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, 0186, ანა პოლიტკოვსკაიას №61, მე-7 სართული, სააქტო აუდიტორია;

კრების დაწყების დრო: 15 : 00 საათი;

კრების დასრულების დრო: 18 : 00 საათი:

ოქმის შედგენის თარიღი: 8 ივლისი 2026 წელი.

საერთო კრება მოწვეულია ფედერაციის თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე, წესდებით დადგენილი წესისა და პროცედურის დაცვით. კრების მოწვევის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე, ხოლო ელექტრონული ფოსტის საშუალებით წევრებს დამატებით პერსონალურად გაეგზავნათ შეტყობინება, რომელშიც მითითებული იყო კრების ჩატარების თარიღი, დაწყების დრო, ჩატარების ადგილი და დღის წესრიგი.

საერთო კრება ჩატარდა განცხადებაში მითითებულ დროსა და ადგილზე.

ფედერაციის წევრთა საერთო რაოდენობა შეადგენს **361** წევრს.

წარმომადგენლობითი კვოტის შესაბამისად არჩეული იყო **54 დელეგატი**.

კრებას ესწრებოდა **49 დელეგატი**, რაც შეადგენს დელეგატთა საერთო რაოდენობის **90,8 პროცენტს**.

შესაბამისად, საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი და უფლებამოსილი იყო მიეღო დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა გადაწყვეტილება

საერთო კრების მონაწილე დელეგატთა სია, მათი საიდენტიფიკაციო მონაცემებითა და ხელმოწერებით, ოქმს ერთვის **დანართი №1-ის** სახით და წარმოადგენს ოქმის განუყოფელ ნაწილს.

თავმჯდომარეობდა: ელგუჯა აფრიდონიძე (პ/ნ 01010011704);

მდივანი: იური პაპასქუა (პ/ნ 01001026257).

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. საანგარიშგეო პერიოდის ანგარიშები:

1.1. გამგეობის ანგარიში (მომხს. ე.აფრიდონიძე, პ/ნ 01010011704);

1.2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.

2. გამოწვევები პროფესიაში და ფედერაციის განვითარების პერსპექტივა

(მომხს. ი. პაპასქუა, პ/ნ 01001026257)

2.1. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კომპიუტერული პროგრამის პრეზენტაცია

ლაშა ბუბუტეიშვილი (პ/ნ 01025015589)

ელგუჯა მებურიშვილი (პ/ნ 60001022497)

3. არჩევნები ფედერაციის მმართველობით ორგანოებში

3.1. გამგეობის წევრებისა და გამგეობის თავმჯდომარის არჩევნები;

3.2. აღმასრულებელი დირექტორის დამტკიცება

3.3. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის არჩევნები.

4. ცვლილებები ფედერაციის წესდებაში.

5. მიმდინარე საკითხები.

- წევრთა სტატუსის შეჩერება;
- საწევრო გადასახადი

კრება გახსნა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა იური პაპასქუამ (პ/ნ 01001026257).

კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ელგუჯა აფრიდონიძე (პ/ნ 01010011704), მდივნად - იური პაპასქუა (პ/ნ 01001026257).

კრებამ დაამტკიცა დღის წესრიგი.

I. **მოისმინეს:** საანგარიშგებო პერიოდის გამგეობის ანგარიში.

გამგეობის თავმჯდომარემ ელგუჯა აფრიდონიძემ (პ/ნ 01010011704) გააკეთა მოხსენება საანგარიშგებო პერიოდში გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილმა (პ/ნ 01010011704), ოთარ ახობაძემ (37001008653), ეთერი გოგიამ (პ/ნ 01013003569), რომლებმაც ისაუბრეს საანგარიშგებო პერიოდში არსებული სირთულეებისა და სამომავლოდ გასათვალისწინებელი პოზიციების შესახებ. დაისვა წინადადება კენჭი ეყაროს გადაწყვეტილებას:

1. დადებითად შეფასდეს საანგარიშგებო პერიოდში გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობა;
2. დამტკიცდეს საანგარიშო პერიოდის ანგარიში.

კენჭისყრის შედეგები:

- მომხრე – 49;
- წინააღმდეგი – 0;
- თავი შეიკავა – 0.

გადაწყვეტილება მიღებულია.

II. მოისმინეს: სარევიზიო კომისიის ანგარიში.

სარევიზიო კომისიის ანგარიში კრებას გააცნო კომისიის წევრმა ეთერი გოგიამ (პ/ნ 01013003569).

აღინიშნა: საანგარიშგებო პერიოდის ფედერაციის ფინანსური ანგარიშგება შედგენილია მოქმედი წესების დაცვით. დარღვევებს ადგილი არ ქონია.

აზრი გამოთქვეს: გია ტუხაშვილმა (01006006113), რომელმაც გამოთქვა მოსაზრება დამტკიცდეს სარევიზიო კომისიის ანგარიში.

კენჭისყრის შედეგები:

- მომხრე – 49;
- წინააღმდეგი – 0;
- თავი შეიკავა – 0.

გადაწყვეტილება მიღებულია.

III. მოისმინეს: იური პაპასქუას (პ/ნ 01001026257) მოხსენება: **გამოწვევები პროფესიაში და ფედერაციის განვითარების პერსპექტივა**

მომხსენებელი შეეხო პროფესიაში მიმდინარე პროცესებსა და არსებულ გამოწვევებს. ისაუბრა მცირე და საშუალო აუდიტორული კომპანიებში აუდიტორული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, ბაზარზე მათი დამკვიდრებისთვის გადასაჭრელ საკითხებსა და პროფესიაში განსახორციელებელი ცვლილებების

აუცილებლობაზე. ყურადღება გაამახვილა მიმდინარე ტექნოლოგიური პროგრესის მნიშვნელობასა და ფედერაციაში სტრუქტურების საქმიანობის გააქტიურების ამოცანებზე. აგრეთვე ფედერაციის წესდებაში ახალი ვითარების შესაბამისი ცვლილებები შეტანის საჭიროებაზე. გამოთქვა მოსაზრება კომიტეტების დასახელებასა და ფუნქციურ დატვირთვაში განსახორციელებელ სიახლეებზე, მათ შორის, ახალი კომიტეტის - სტანდარტების, ინოვაციებისა და პროფესიული განვითარების კომიტეტის შექმნის, მისი ენერგიული და ინიციატივიანი კადრებით დაკომპლექტების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილმა (პ/ნ 01010011704), ოთარ ახობაძემ (37001008653), დავით ბიბიჩაძემ (პ/ნ 60001016798), ელისო აფციაურმა (პ/ნ 01022006649), ეთერი გოგიამ (პ/ნ 01013003569), რომლებმაც მოიწონეს მომხსენებლის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და გამოთქვეს მზაობა მხარდაჭერის თაობაზე.

კენჭი ეყარა წინადადებას: ფედერაციის წესდებაში შევიდეს ცვლილებები; საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის პროფესიული საქმიანობის უწყვეტი განვითარების, პროფესიული სტანდარტების სრულყოფის, ინოვაციების დანერგვის, პროფესიული განათლების ხელშეწყობის, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და პროფესიული საზოგადოების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, წერვრობის კომიტეტი გარდაიქმნას **წევრობის, პროფესიული ეთიკისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის კომიტეტად, სტანდარტების კომიტეტი გარდაიქმნას სტანდარტების, ინოვაციებისა და პროფესიული განვითარების კომიტეტად**. მომზადდეს კომიტეტების ახალი დებულებები და მათი შექმნის, გარდაქმნის, გაუქმების კომპეტენცია მთლიანად დაექვემდებაროს ფედერაციის გამგეობას.

კენჭისყრის შედეგები:

- მომხრე – 49;
- წინააღმდეგი – 0;
- თავი შეიკავა – 0.

გადაწყვეტილება მიღებულია.

კრების მონაწილეებისთვის, ფედერაციის ფიზიკური და იურიდიული წევრების საქმიანობაში ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, ფედერაციის წევრებმა

ლაშა ბუბუტეიშვილმა (პ/ნ 01025015589) და ელგუჯა მებურიშვილმა (პ/ნ 60001022497) წარადგინეს მათ მიერ შექმნილი **ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კომპიუტერული პროგრამა,** რომელმაც მოწონება დაიმსახურა. დაისვა კითხვები და გამოითქვა მოსაზრებები ამ პროგრამის დამკვიდრების შესახებ.

კრება გადავიდა ფედერაციის მმართველობით ორგანოებში არჩევნების საკითხზე.

ა. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარედ დასახელდა თამაზ ჯანეზაშვილის (პ/ნ 01004003294) კანდიდატურა, რაც კრებამ ერთხმად დაამტკიცა.

ბ. კრების თავმჯდომარემ დელეგატებს გააცნო გამგეობის წევრობის კანდიდატების: ელგუჯა აფრიდონიძის (პ/ნ 01010011704), იური პაპასქუას (01001026257), ოთარ ახობაძის (პ/ნ 37001008653), ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილის (პ/ნ 01022004461), დავით ჯალაღონიას (62001002179), გოჩა გარუჩავას (პ/ნ 01013010116), დავით ბიბიჩაძის (პ/ნ 60001016798), ცირა ბართიას (პ/ნ 58001005161), სულიკო ფუტკარაძის (61001043152) წერილობითი განცხადებები, რომლებითაც თითოეულმა მათგანმა გამოხატა თანხმობა ფედერაციის გამგეობის წევრად არჩევაზე. აღნიშნული განცხადებები ერთვის ოქმს დანართი №2-ის სახით.

კენჭი ეყარა წინადადებას: აღნიშნული პირები აირჩიონ ფედერაციის გამგეობის წევრებად.

კენჭისყრის შედეგები:

- მომხრე – 49;
- წინააღმდეგი – 0;
- თავი შეიკავა – 0.

გადაწყვეტილება მიღებულია.

გ. კრების თავმჯდომარემ დელეგატებს გააცნო ახლადარჩეული გამგეობის წევრების წინადადება გამგეობის თავმჯდომარედ იური პაპასქუას **(პ/ნ 01001026257)** არჩევის შესახებ.

კენჭი ეყარა წინადადებას: იური პაპასქუას (პ/ნ 01001026257) გამგეობის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

- მომხრე – 49;

- წინააღმდეგი – 0;
- თავი შეიკავა – 0.

გადაწყვეტილება მიღებულია.

დ. ახლადარჩეულმა გამგეობის თავმჯდომარემ საერთო კრებას ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე შეთავაზა ელგუჯა აფრიდონიძის (პ/ნ 01010011704) კანდიდატურა. ელგუჯა აფრიდონიძემ გამოთქვა თანხმობა აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების შესრულებაზე.

კენჭი ეყარა წინადადებას: ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე ელგუჯა აფრიდონიძის (პ/ნ 01010011704) არჩევის შესახებ;

კენჭისყრის შედეგები:

- მომხრე – 49;
- წინააღმდეგი – 0;
- თავი შეიკავა – 0.

გადაწყვეტილება მიღებულია.

ე. კრების თავმჯდომარემ ფედერაციის **სარევიზიო კომისის თავმჯდომარედ დაასახელა ეთერი გოგიას (პ/ნ 01013003569)** კანდიდატურა. ეთერი გოგიამ გამოთქვა თანხმობა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შესრულებაზე.

კენჭი ეყარა წინადადებას: სარევიზიო კომისის თავმჯდომარედ ეთერი გოგიას (პ/ნ 01013003569) არჩევის შესახებ;

კენჭისყრის შედეგები:

- მომხრე – 49;
- წინააღმდეგი – 0;
- თავი შეიკავა – 0.

გადაწყვეტილება მიღებულია.

IV. მოისმინეს: იური პაპასქუა (პ/ნ 01001026257) ინფორმაცია ფედერაციის წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მან კრების მონაწილეებს გააცნო წესდების ახალი რედაქციის პროექტი და წარმოადგინა არგუმენტები, რომლის გამოც საჭიროა ფედერაციის წესდებაში ცვლილებების შეტანა. ეს ცვლილებები განპირობებულია პროფესიაში შექმნილი ახალი გამოწვევების, მოქნილობის უზრუნველყოფის, დებულებების დახვეწისა და ფედერაციის დატვირთვის გამოკვეთის აუცილებლობით.

აზრი გამოთქვეს: გოჩა გარუჩავამ (პ/ნ 01013010116), ალექსანდრე ოქრომჭედლიშვილმა (პ/ნ 01022004461), ოთარ ახობაძემ (პ/ნ 37001008653), დავით ბიბიჩაძემ (პ/ნ 60001016798), ელისო აფციაურმა (პ/ნ 01022006649), ეთერი გოგიამ (პ/ნ 01013003569), ცირა ბართიამ (პ/ნ 58001005161), რომლებმაც მოიწონეს მომხსენებლის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და გამოთქვეს მზაობა მხარდაჭერის თაობაზე.

კენჭი ეყარა წინადადებას: ფედერაციის წესდების ახალ რედაქციის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

- **მომხრე – 49;**
- **წინააღმდეგი – 0;**
- **თავი შეიკავა – 0.**

გადაწყვეტილება მიღებულია.

V. საერთო კრებამ განიხილა მიმდინარე საკითხები:

ა. ელგუჯა აფრიდონიძემ (პ/ნ 01010011704) კრებას გააცნო ინფორმაცია, რომ საანგარიშო პერიოდში ფედერაციის წევრმა 82 სერტიფიცირებულმა ბუღალტერმა არ გაიარა „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დადგენილი ყოველწლიური სავალდებულო განგრძობითი სწავლება, რის გამოც მათ უნდა შეუჩერდეთ სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფედერაციის 5 წევრი გარდაიცვალა და უნდა მოხდეს მათი ფედერაციის წევრთა რეესტრიდან ამოღება.

აღინიშნა: რომ ეს საკითხი კანონით არის დარეგულირებული და აუცილებლად უნდა შესრულდეს.

კენჭი ეყარა წინადადებას: შეუჩერდეს სერტიფიცირებული ბუღალტრის 82 წევრს და ფედერაციის წევრობის რეესტრიდან ამოიღონ 5 გარდაცვლილი პირი.

კენჭისყრის შედეგები:

- **მომხრე – 49;**
- **წინააღმდეგი – 0;**
- **თავი შეიკავა – 0.**

გადაწყვეტილება მიღებულია.

ბ. იური პაპასქუამ (პ/ნ 01001026257) კრების მონაწილეებს გააცნო წინადადება ფედერაციის ფიზიკური წევრების საწევროები გაზრდის თაობაზე.

აღინიშნა, რომ ინფლაციური პროცესების, ფედერაციის ფუნქციონირებისა და ფედერაციის წინაშე არსებული ახალი ამოცანების უზრუნველსაყობად, საჭიროა დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიება. ერთ ერთი ასეთი საკითხი არის ფედერაციის წევრთა საწევრო გადასახადის რაოდენობის გადახედვა. მან კრებას წარუდგინა წინადადება ნაცვლად არსებული 60 ლარისა, ფედერაციის ფიზიკური საწევრო 100 ლარის ოდენობით განსაზღვროს.

კენჭი ეყარა წინადადებას: ფედერაციის ფიზიკურ პირთა საწევრო დადგინდეს 100 ლარის ოდენობით.

კენჭისყრის შედეგები:

- **მომხრე – 49;**
- **წინააღმდეგი – 0;**
- **თავი შეიკავა – 0.**

გადაწყვეტილება მიღებულია.

დანართები:

1. საერთო კრების მონაწილეთა სია (პირადი ნომრებითა და ხელმოწერებით);
2. გამგეობის წევრობის კანდიდატთა წერილობითი თანხმობები;
3. საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადების ასლი;
4. ფედერაციის წესდების ახალი რედაქცია.

კრების თავმჯდომარე	ე. აფრიდონიძე
კრების მდივანი	ი. პაპასქუა